ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №5

აბაშა, 2023 წლის 28 თებერვალი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის მორიგი №2 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ი" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. დამტკიცდეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის მორიგი №2 სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის მორიგი №2 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

   მომხს: გ. ხოშტარია

2. „აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ტ. ხოშტარია

3. „აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. დ.ცანავა

4. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს. დ.ცანავა

5. აბაშის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხს. დ.თოფურია

6. აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების 2023 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხს. დ.თოფურია

7. აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების 2023 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. დ.თოფურია

8. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პასუხისმგებელი პირების მიერ სამსახურებრივი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის და ამ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის ხარჯის ყოველთვიური ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ. ცანავა

9. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. მ.თელია

10.აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. გ.თოფურია

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: ბელა ხოშტარია